საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, გულუას ქ6ა, ტელ. 72 72 60

ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ —12— N 11

—19—03— 2010 წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება – ბუნებრივი აირის საცავის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი – შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“, თეთრიწყაროს რაიონი, დაბა მანგლისი, სტალინის 66
3. განხორციელების ადგილი – ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ №6
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი – 01.03.2010
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა“

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია ქ. თბილისში ბუნებრივი აირის საცავის რეკონსტრუქციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

საქმიანობისთვის განკუთვნილი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, უნივერსიტეტის ქ. №6-ში, ველოტრეკის მიმდებარედ. ტერიტორიას აღმოსავლეთიდან ესაზღვრება საბანკეტო დარბაზი „ფაზისი“, ჩრდილოეთიდან – უნივერსიტეტის ქუჩა, დასავლეთიდან – გაუქმებული ველოტრეკი, ხოლო სამხრეთიდან საბურთალოს სასაფლაო. მანძილი უახლოეს საცხოვრებელ შენობამდე შეადგენს 250მ-ს.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად ტერიტორიაზე მოწყობილია სატვირთო და მსუბუქი ავტომობილების ბუნებრივი აირით გამართვისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურა: მკვებავი საკომპრესორო სადგური; საშუალო წნევის D=50მმ, P≤3 კგ/სმ^2 გაზსადენი; მოძრავი ავტოგაზგასამართი სადგური – ბუნებრივი აირის საცავი; განმქრეველი რეზერვუარი (0,4მ^3 მოცულობის); საოპერატორო ჯიხური.

ობიექტის ბუნებრივი აირით მომარაგება ხორციელდება ქალაქის ქსელიდან. განმქრეველი რეზერვუარის გავლის შემდგომ კომპრესორში მოხვედრილი ბუნებრივი გაზი იჭირხნება და საშუალო წნევის გაზსადენით მიეწოდება მოძრავ რეზერვუარებზე სადგურს, რომელიც მოწყობილია სატვირთო ავტომობილის ძარაზე. გაზის საცავიდან პირდაპირ ხდება სატვირთო და მსუბუქი ავტომანქანების ბუნებრივი გაზით გამართვა.

საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის ნაწილი დროებითია. წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით კომპანიას დაგეგმილი აქვს წარმოების გაფართოება-რეკონსტრუქცია. მოძრავი რეზერვუარის ნაცვლად, რომელიც ამჟამად ასრულებს როგორც ბუნებრივი აირის საცავის ასევე ავტომობილების გაზით გამართვის დანადგარის ფუნქციას, ცალ-ცალკე განთავსდება ბუნებრივი აირის მიწისზედა სტაციონალური საცავი, რომლის ტევადობა 240 კგ/სმ^2 წნევის პირობებში 2250მ^3 იქნება და გაზგასამართი სვეტი.

მილსადენით ბუნებრივი აირი მიერთებულია წნევის განმშრეკ რეზერვუართან, რომლის გავლის შემდეგ მიეწოდება საკომპრესორო სადგურს, რომელიც არის დახურული ტიპის ლითონის ნაგებობა. საკომპრესოროში განთავსებულია ადგილობრივი წარმოების კომპრესორი, რომელიც ზრდის ბუნებრივი აირის წნევას 240-2150კგ/სმ^2-მდე ოთხ საფეხურად აირის მიმდევრობითი დაჭირხვნის შედეგად. ყოველი საფეხურის შედეგად აერთმევა გამოყოფილი სითბო და შემდგომ საფეხურს მიეწოდება გაგრილებული აირი. გაზსაცავის ყოველი შევსების შემდეგ კომპრესორში და მილსადენში გამონთავისუფლებული ბუნებრივი აირის შეგროვება ხდება განმქრეველ რეზერვუარში და ბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში. რეკონსტრუქციის შემდეგ „პისტოლეტი“ დაკავშირებული იქნება მიწის ზედაპირიდან 3მ სიმაღლის ლითონის მილთან, საიდანაც მოხდება მავნე ნივთიერებების გაფრქვევა. საწარმო გეგმავს დღე-ღამის განმავლობაში 1950მ^3 (130 მანქანა) მოცულობის ბუნებრივი აირის გატარებას.

დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე წყლის ტექნიკური მიზნებისათვის გამოყენება არ არის გათვალისწინებული. კომპრესორს გააჩნია ბრუნვითი გამაცივებელი სისტემა, რომელშიც გამოიყენება ანტიფრიზი.

სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით ობიექტის მომსახურე პერსონალი იყენებს თბილისის წყალმომარაგების სისტემის წყალს.

წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური და ატმოსფერული ჩამდინარე წყლები, ჩაშვებული იქნება ქ. თბილისის ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაში.

საწარმოში ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელია ობიექტის რეკონსტრუქციის და ასევე მისი ექსპლუატაციის პერიოდში. წარმოქმნილი მყარი ნარჩენების ნაწილი, რომლებიც დაექვემდებარება მეორად მოხმარებას, დროებით შეინახება საწარმოს ტერიტორიაზე და გამოყენებული იქნება ტერიტორიის რეკულტივაციისათვის. ვარგისი ინერტული მასალები გაიტანება ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე. ლითონის ნარჩენები, სხვა სახიფათო ნარჩენები (სატრანსპორტო ზეთების, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების ფილტრები, უვარგისი აკუმლატორები და სხვა) გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

წარმოდგენილ დოკუმენტში განხილულია ობიექტის განთავსების ადგილის ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზი, კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები, ატმოსფერული ჰაერის ხარისხი, რელიეფი, გეოლოგია, ჰიდროგეოლოგია, ჰიდროლოგია, რელიეფი, ზედაპირული წყლების ხარისხი, ნიადაგები, ფლორა, ფაუნა, ძირითადი ლანდშაფტები, სოციალური, ეკონომიკური პირობები, მოსახლეობა, ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა. მოყვანილია საწარმოს ფუნქციონირებისას გარემოზე ზემოქმედების ფაქტორები, მათი სახეობები და ჩატარებულია დამაბინძურებელ ნივთიერებათა კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები, გაფრქვევის სიმძლავრეები, საშიშროების კლასი, წარმოდგენილია გამონაფრქვევთა კომპიუტერული ანგარიში.

საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის განახლება, მოეწყობა სახანძრო სტენდი; ფხვნილოვანი ცეცხლჩამქრობი, რომელიც განკუთვნილი იქნება მყარი, თხევადი და გაზისმაგვარი ნივთიერებების აალების და ელექტრომოწყობილობების ჩასაქრობად; ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. გათვალისწინებულია ხანძარქრობის ჰიდრანტის „თბილისის" მოწყობა, რომელიც მიერთებულია ქ. თბილისის ცენტრალურ წყალსადენთან. ობიექტზე დაპროექტებულია ერთი [illegible] დიდი განმქრეველ რეზერვუართან.

ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესში [illegible] ექსპერტული კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები საფუძველად [illegible] დასკვნის მესამე თავს.

III. პირობები

1. აუცილებლად უნდა მოხდეს სისტემის აღჭურვა შესაბამისი ტიპის ხმოვანი და მანათობელი სიგნალიზაციის საშუალებებით, ასევე კვამლის ავტომატური სახანძრო მაუწყებლით;
2. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს სამშენებლო ნარჩენების, სახიფათო და ტოქსიკური ნარჩენის განთავსება და გაუვნებელყოფა-გადამუშავების მიზნით გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მქონე სათანადო ორგანიზაციისათვის გადაცემა;
3. საწარმოს ხელმძღვანელობამ უნდა უზრუნველყოს ხანძარსაწინააღმდეგო და ავარიული სიტუაციების თავიდან აცილების ღონისძიებების განხორციელება, ასევე ყველა იმ ვალდებულებების უპირობო შესრულება, რომელიც წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშით არის გათვალისწინებული;
4. სანიღვრე-ჩამდინარე წყლებისთვის მოეწყოს ერთიანი კანალიზაციის სისტემა რომელიც აღჭურვილი იქნება სპეციალური გამწმენდი ნაგებობით;
5. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარმოდგენილ იქნეს მოსალოდნელი ავარიების სრული აღწერილობა და პრევენციის ტექნიკური საშუალებები, ასევე ხანძარქრობის აღწერილობა.

IV. დასკვნა

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“-ს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ქ. თბილისში ბუნებრივი აირის საცავის რეკონსტრუქციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ლიცენზიებისა და ნებართვების
სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ ბახნაკი
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

საქართველოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
204861943

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-238

ქ. თბილისი "21" 05 2010 წ.

შ.პ.ს. „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შ.პ.ს. „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ქ. თბილისში, უნივერსიტეტის ქ. №6, „ბუნებრივი აირის საცავის რეკონსტუქცია-რეაბილიტაციაზე";
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ნებართვა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №12; 19.03.2010 წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

ასლი სწორია

გიორგი ხაჩიძე
მინისტრის

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000024

კოდი MD 1 " 21 " " 05 " 2010 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი	შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"
2. საქმიანობის მიზანი	ბუნებრივი აირის საცავის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია
3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა	ქ. თბილისი უნივერსიტეტის ქ. № 6
4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია	სამეცნიერო-კვლევითი ფირმა „გამა"
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6. ნებართვის გაცემის საფუძველი	ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე № 12; 19.03.10
7. ნებართვის პირობები	ნებართვა ეზემოქმედებს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულებით

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა) ნიკოლოზ ჯახნავია
ლიცენზიების და ნებართვების სამსახურის უფროსი

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო; დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 10-2419

N 000024

ინ. ოფიციალურად 6.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის მინისტრს ქალბატონ ხათუნა გოგოლაძეს სამინისტროს

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"–ს
გენერალური დირექტორის ზურაბ გოზალიშვილის
და
შპს „სი–ენ–ჯი"–ს დირექტორის
ჭიაბერ ჭიაბრიშვილის

ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო ხათუნა,

როგორც მოგეხსენებათ, შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"-ს (საიდ/კოდი:230866783) სახელზე გაცემული არის გარემოზე ზემოქმედების ნებართვა №000024 (საკუთრებაში არსებულ გაზგასამართ სადგურის (ა.გ.გ.ს) ექსპლოატაციისათვის).

გვსურს აღნიშნული ნებართვა საკუთრებაში გადაეცეს შპს "სი-ენ-ჯი"-ს

შპს "სი-ენ-ჯი" (საიდ/კოდი: 405037213) თანახმაა საკუთრებაში მიიღოს აღნიშნული ნებართვა, შეასრულოს და დაიცვას აღნიშნულ ნებართვაში მითითებული ყველა პირობა და ვალდებულება, რაზეც ვაწერთ ხელს:

შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"-ს

გენერალური დირექტორი

ზურაბ გოზალიშვილი

შპს "სი-ენ-ჯი"-ს

დირექტორი

ჭიაბერ ჭიაბრიშვილი

დანართი: ფურცლად;

1) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს "სი-ენ-ჯი";
2) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს "საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია";
3) ხელშეკრულება ნებართვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ;
4) ნებართვის დედანი
5) ბრძანება №ი-238დედანი;
6) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე №12;
7) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;

25.06.2014

საქართველოს
ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
№ 8962
25 06 2014

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი
რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N [illegible]

კოდი MD1 27 " 06 " 2014

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი [illegible] „[illegible]"

2. საქმიანობის მიზანი [illegible]

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა [illegible]

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია [illegible] „[illegible]"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია [illegible]

6. ნებართვის გაცემის საფუძველი [illegible] 10.03.2010.

7. ნებართვის პირობები [illegible]

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს
უფლებამოსილი წარმომადგენელი [illegible]
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

ბ.ა.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060122124760114

ბრძანება No-384

ქ. თბილისი

27 / ივნისი / 2014 წ.

შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-ზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შპს „სი-ენ-ჯი"-ზე გადაცემის შესახებ

,,გარემოზე ზემოქმედების ნებართვის" შესახებ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"-ს ბუნებრივი აირის საცავების ექსპლუატაციაზე (თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6) საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გადაეცეს შპს „სი-ენ-ჯი"-ს;
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის 2010 წლის 19 მარტის №12 დასკვნით გათვალისწინებული პირობების შესრულება;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში ცვლილებების შეტანა და ახალი სანებართვო მოწმობის გაცემა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-სა და შპს „სი-ენ-ჯი"-ს;
5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-ზე 2010 წლის 21 მაისს გაცემული გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა №000024;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაცია"-სა და შპს „სი-ენ-ჯი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქ. №7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია"-სა და შპს „სი-ენ-ჯი"-ს დირექტორების ერთობლივი განცხადება; მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულება და გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსის თამარ შარაშიძის მოხსენებითი ბარათი.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000090

კოდი MD1 „27" „06" 2014

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი შპს „სი-ეი-ჯი"

2. საქმიანობის მიზანი ბეტონებრიები ობიექტის საკუთრების ექსპლუატაცია

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა თბილისი, ფონიჭალის ქ. № 6.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია საშეკვრელები - ეკოლოგიური ფირმა „ეკო"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია ეკოლოგიაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში

6. ნებართვის გაცემის საფუძველი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა № 12. 19. 03. 2010.

7. ნებართვის პირობები ნებართვა ზემოქმედების ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების შუამავლებში

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა) ეკოლოგიაზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტის უფროსი თამარ ხარაიძე

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სუს-ს რეგისტრაციის N 26-4034

ნეოგაზი NEOGAS

10 კ. ეფარიდა.

№ 341/ს-4 09 ნოემბერი 2015

გადაგზავნილია საეკონომიკო რეფორმების კოორდინაციის სამსახურის კომპეტენციის გამო.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი

რესურსების დაცვის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ შპს „სი–ენ–ჯი"–ს (საიდ/კოდი: 405037213) სახელზე 2014 წელს გაცემულია #000086, #000083, #000088, #000087, #000084, #000085, #000089, #000091, #000090, #000092 გარემოზე ზემოქმედების ნებართვები.

ვინაიდან შპს „სი–ენ–ჯი"–ს 2015 წლის 15 ივლისის პარტნიორთა კრების ოქმში დაფიქსირებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეეცვალა სახელწოდება და შპს–ს სახელწოდებად „სი–ენ–ჯი" –ს ნაცვლად განისაზღვრა „ნეოგაზი", საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა შესაბამისი ცვლილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ უზრუნველყოთ თქვენს მიერ გაცემულ გარემოზე ზემოქმედების ნებართვებში ნებართვის მიმღები სუბიექტის ცვლილება და ნაცვლად შპს „სი–ენ–ჯი"–სა განსაზღვროთ შპს „ნეოგაზი".

პატივისცემით,

დირექტორი

ჭიაბერ ჭიაბრიშვილი

საქართველოს
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების
დაცვის სამინისტრო
№ 22705
"09" 11 2015

დანართი:

1) შპს „ნეოგაზი"–ს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (30.09.2015);
2) ცვლილების რეგისტრაციის განცხადების მიღების ბარათი (განცხადების #1001963);
3) შპს „სი–ენ–ჯი"–ს ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (30.06.2015);
4) გარემოზე ზემოქმედების ნებართვები #000086, #000083, #000088, #000087, #000084, #000085, #000089, #000091, #000090, #000092;

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

KA060166283254915

ბრძანება No-890

ქ. თბილისი **19 / ნოემბერი / 2015 წ.**

შპს „ნეოგაზი"-ზე სანებართვო მოწმობის გაცემის შესახებ

,,ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „ნეოგაზი"-ს ბუნებრივი აირის საცავების ექსპლუატაციაზე (თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №6) გარემოზე ზემოქმედების სანებართვო მოწმობა;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შპს „სი-ენ-ჯი"-ზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ 2014 წლის 27 ივნისს გაცემული სანებართვო მოწმობა №000090;
3. დაევალოს სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტს უზრუნველყოს უწყებრივ სანებართვო რეესტრში შესაბამისი ცვლილების შეტანა;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ნეოგაზი"-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნეოგაზი"-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა №7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

მინისტრი გიგლა აგულაშვილი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა N 000183

კოდი MD1 „19" „11" 2015

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი

შპს „ლეონიანი"

2. საქმიანობის მიზანი

ბეტონებრეცელი ორბის საკადენციის ექსპლუატაცია

3. ადგილი (ადგილმდებარეობა), სადაც უნდა განხორციელდეს საქმიანობა

თბილისი, ფონდიანის ქ. N6.

4. დოკუმენტაციის მომამზადებელი ორგანიზაცია

საქმიანობა-კვლევითი ფირმა „ეკო"

5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის ფორმატში.

6. ნებართვის გაცემის საფუძველი

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N12; 19.03.2010.

7. ნებართვის პირობები ლიცენზიიანი ზემოქმედების ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების წარმოდგენილი ანგარიშის ფარგლებში.

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი ბეტონებრეცელი ნებართვების ლიცენზიების დეპარტამენტის ოპერაციული თანამშრომელი
(გვარი, სახელი, თანამდებობა)

ბ.ა.

დამკვეთი: საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „კაბადონი +"
სფს-ს რეგისტრაციის N 26-4034